საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე: ქ. თბილისში, საირმის ქ. №40-42-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების შედეგები

შპს „მილაგო“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2017 წლის იანვარში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, საირმის ქ. №40-42-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო - გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, საირმის ქ. №40-42-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო - გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2007 წლის თებერვალში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი გივი ზაკაშვილი. მათ ლაბორატორიაშია შესრულებული საკვლევი ტერიტორიის გრუნტების თვისებები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე. ..... 4 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. მიწერილობა ..... 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე..... 1 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც.
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ..... 1 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 4 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 7-სართულიანი საცხოვრებელი სახლი მანსარდითა და სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია

რკინა-ბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 2 შურფი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 16.5 მეტრს. შურფებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

I. ფენა 1 - ნაყარი გრუნტი;

II. ფენა 2 - ძირითადი ქანი არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, გამოფიტული;

III. ფენა 3 - ძირითადი ქანი არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, ნაკლებად გამოფიტული;

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური და გეოლოგიური პირობები, მოცემულია ძირითადი ქანების და საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, განსაზღვრულია მათი სიმტკიცის მაჩვენებლები. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, საირმის ქ. №40-42-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად, წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო -გეოლოგიურ ნაწილში.

სტუ-ს გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტმდ, პროფესორი /გ. ჯოხონელიძე/

